საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების ორი სცენარი

შედეგები და პოლიტიკის რეკომენდაციები

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

სცენარების ანგარიში
გამოცემა #37 | ოქტომბერი 2023

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ის ასევე ხელს უწყობს საზოგადოების მონაწილეობას სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის და დემოკრატიის განვითარების პროცესებში. ორგანიზაციის მიზანია, გახდეს კვლევებისა და პოლიტიკური ინოვაციების წამყვანი ცენტრი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში. ამ მიზნის მისაღწევად GIP ატარებს შესაბამის სიღრმისეულ კვლევებს, ვრცელ საინფორმაციო სამუშაოს ფართო საზოგადოებასთან და ხელს უწყობს თამამ ინოვაციებს პოლიტიკურ დისკურსსა და პოლიტიკურ მსჯელობაში.

პუბლიკაცია მომზადდა „ღია საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს დონორის შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, *„საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების ორი სცენარი: შედეგები და პოლიტიკის რეკომენდაციები,” სცენარების ანგარიში No. 37, ოქტომბერი 2023.*

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2023
საქართველო, თბილისი 0107, ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13
ტელ.: +995 599 99 02 12
ელ. ფოსტა: **info@gip.ge**
დამატებითი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ:
www.gip.ge

სარჩევი

მოკლე შინაარსი 2

შესავალი 3

სცენარი „დიახ“: საქართველო იღებს კანდიდატის სტატუსს 5

პოზიტიური "დიახ" სცენარის აღწერა 6

შესაძლებლობები 6

- რეფორმის მომხრე აქტორების გაძლიერება 7
- საქართველოს პოტენციური დაბრუნება რეფორმების გზაზე 7
- ევროკავშირის გავლენის გაძლიერება რეგიონში 8
- გავლენის გაძლიერება საქართველოს ევროპეიზაციის პროცესზე 9

რისკები 9

- ევროკავშირის კანდიდატობამ შესაძლოა გააძლიეროს არსებული ხელისუფლება 10
- რეპუტაციული ზიანი ევროკავშირისთვის 10
- კანდიდატის სტატუსის მიუხედავად, საქართველო შესაძლოა რუსეთის გეოპოლიტიკურ ორბიტაზე დარჩეს 10

სცენარი „არა“: საქართველო ვერ იღებს კანდიდატის სტატუსს 13

ნეგატიური "არა" სცენარის აღწერა 14

შესაძლებლობები 14

- ახალი პოლიტიკური დინამიკა საქართველოში 14
- ევროკავშირის ნორმატიული პრინციპულობა 15

რისკები 16

- პოლარიზაციის გაღრმავება და ავტორიტარიზმის გაძლიერება 16
- პოლიტიკური არასტაბილურობის გამწვავება 17
- ევროკავშირის გეოპოლიტიკური გავლენის დაკარგვა და ასოცირების ტრიოს დაშლა 17
- ევროკავშირის რბილი ძალის შემცირება 18

დასკვნა 20

ბიბლიოგრაფია 22

ინტერვიუები 23

მოკლე შინაარსი

რა შედეგებია ყველაზე მეტად მოსალოდნელი, თუ 2023 წელს საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიენიჭება? და რას უნდა ველოდეთ, თუ ქვეყანა სტატუსს ვერ მიიღებს? წარმოდგენილ ნაშრომში ორივე სცენარია განხილული, რომლის ანალიზიც სამაგიდე კვლევას და დარგის ქართველ ექსპერტებთან ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფის ფორმატის დისკუსიისა და ინდივიდუალური ექსპერტ-ინტერვიუების შედეგებს ეფუძნება. ფოკუს-ჯგუფის ფორმატის დისკუსია ორივე სცენარის შემთხვევაში შესაბამისი გამოწვევებისა და შესაძლებლობების განსაზღვრას მოიცავდა. მიღებული შედეგები ვრცელი სამაგიდე კვლევით შეივსო. ორივე სცენარის ანალიზმა სერიოზული რისკები და შესაძლებლობები გამოავლინა საქართველოსთვის. პოზიტიური/ოპტიმისტური სცენარით, საქართველოს ევროკავშირთან დაძაბული ურთიერთობის განმუხტვის შესაძლებლობა მიეცემა. თუმცა, ეს ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეასრულებს ქვეყნის ხელისუფლება თავის ვალდებულებებს და რამდენად დათანხმდება ძალაუფლების განაწილების იმ მექანიზმს, რომელიც 2021 წელს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გაფორმებული შარლ მიშელის შეთანხმებით არის გათვალისწინებული.[1] მართალია, კანდიდატის სტატუსის მინიჭებამ შესაძლოა საქართველოში პოლარიზაცია ვერ შეამციროს, მაგრამ მან შეიძლება გარკვეული სტიმული მისცეს შეჩერებული რეფორმების განხორციელებას, რაც გააძლიერებს საქართველოს დემოკრატიულ ინსტიტუტებს და გარკვეულ გავლენას მოახდენს პოლიტიკური რადიკალიზაცის პროცესზე. ამავე დროს, მოსალოდნელია, რომ ასეთი სცენარის შემთხვევაში, ევროკავშირი შეძლებს, გაზარდოს თავისი გეოპოლიტიკური გავლენა რეგიონში, რაც საქართველოს მეტი თავსებადობისკენ უბიძგებს. თუმცა, ასევე არსებობს პოლიტიკური კრიზისის გაღრმავების რისკი, თუკი არსებული ხელისუფლება სტატუსის მინიჭების დამსახურების მონოპოლიზებას რეფორმების გატარების კუთხით ხელშესახები წინსვლის გარეშე შეეცდება.

ნეგატიური/პესიმისტური სცენარის შემთხვევაში, შესუსტდება ევროკავშირის (გეო)პოლიტიკური გავლენა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის არასტაბილურ რეგიონში. მისი რბილი ძალა შემცირდება, ხოლო რუსეთის დამაზიანებელი გავლენა კიდევ უფრო გაძლიერდება. საქართველოსთვის საზიანო შედეგები დამძიმდება, რამაც, შესაძლოა, ქვეყანა უკიდურესი პოლარიზაციის, პოლიტიკური არასტაბილურობისა და ავტორიტარიზმის გამყარებამდე მიიყვანოს. შედეგად, შესაძლოა საქართველო, საბოლოოდ მოწყდეს ევროპასა და ასოცირებულ ტრიოს როგორც გეოპოლიტიკური, ასევე, ნორმატიული თვალსაზრისით. გაიზრდება მისი მოწყვლადობა რუსული ჰიბრიდული ომის მეთოდების, პროპაგანდისა და შიდა საქმეებში ჩარევის თვალსაზრისით. ასევე, დიდი ალბათობით, კიდევ უფრო გაიზრდება კორუფციული რისკები, რაც საქართველოს დემოკრატიულ განვითარებასა და დასავლურ ინტეგრაციას კიდევ უფრო შეაფერხებს.

[1] EU NeighboursEast, "'A Way Ahead for Georgia'. Proposal by President of the European Council Charles Michel to the Representatives of Georgian Political Parties," April 23, 2021, https://euneighbourseast.eu/news/publications/a-way-ahead-for-georgia-proposal-by-president-of-the-european-council-charles-michel-to-the-representatives-of-georgian-political-parties/.

შესავალი

უკრაინის წინააღმდეგ რუსულმა აგრესიამ და ამის შედეგად დასავლეთსა და მოსკოვს შორის განვითარებულმა კონფრონტაციამ საქართველოს წინაშე ახალი რისკები წარმოშვა, რომელმაც ქვეყანა რთული არჩევანის წინაშე დააყენა. თუმცა, მომატებული რისკების ფონზე ქვეყნისთვის შესაძლებლობების უნიკალური ფანჯარაც გაიხსნა, როგორიცაა ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა. უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე ევროკავშირმა გადაწყვიტა, ასოცირებული ტრიოს ქვეყნებისთვის ინტეგრაციის პროცესი დაეჩქარებინა და წევრობის პერსპექტივა რეალობად ექცია. შედეგად ბრიუსელმა უკრაინას და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიანიჭა, საქართველოს კი სტატუსის მისაღებად რიგი პოლიტიკური პირობების შესრულება მოსთხოვა. ქართული საზოგადოების პრო-ევროპულად განწყობილმა ნაწილმა ევროკავშირის საბჭოს ეს გადაწყვეტილება ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობად აღიქვა, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტში ყოველთვის მოწინავე ადგილს იკავებდა, თუმცა ახლა ის ასოცირებული ტრიოს ქვეყნებს ერთი ნაბიჯით ჩამორჩება. ამავე დროს, გლობალურ გეოპოლიტიკურ გაურკვევლობასთან ერთად ქვეყანა აღმოჩნდა ტრადიციული შიდაპოლიტიკური პრობლემების წინაშე, როგორიცაა პოლიტიკის პოლარიზაცია და მისი რადიკალიზაცია, არაფორმალური მმართველობა, რომლებსაც ასევე თან ერთვის უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. შედეგად, ქვეყანა მუდმივ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისშია.[2]

მნიშვნელოვანია, რომ საქართველო დემოკრატიულ უკუსვლას განიცდის[3] ისეთ კრიტიკულ პერიოდში, როდესაც, ნოემბრის დასაწყისში, ევროკომისია გაფართოების შესახებ თავის ყოველწლიურ ანგარიშს გამოაქვეყნებს. ანგარიშში შემოთავაზებული იქნება რეკომენდაციები საქართველოსთან შემდგომი ურთიერთობის თაობაზე, ხოლო დეკემბრისთვის, ევროკავშირის 27 ქვეყანა კენჭისყრის გზით გადაწყვეტს, მიიღოს თუ არა აღნიშნული რეკომენდაციები. ამ გადამწყვეტ მომენტში, საქართველო გარკვეული რისკების წინაშე დგას, რადგან ეჭვქვეშაა ქვეყნის ერთგულება დემოკრატიული პრინციპების მიმართ, რაც მის საგარეო პოლიტიკურ ვექტორზეც ახდენს გავლენას. ეს ფაქტორები კიდევ უფრო ზრდის ბუნდოვანებას ქვეყნის პოლიტიკურ და ინსტიტუციურ მომავალთან დაკავშირებით. წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ის მოკლევადიანი შედეგები, რაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების განვითარების ორი სცენარის შემთხვევაშია მოსალოდნელი. ერთი სცენარით, საქართველო იღებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს, მეორე სცენარით კი ქვეყანას სტატუსი არ ენიჭება. ანგარიშში გამოკვეთილია ორივე სცენართან დაკავშირებული მთავარი რისკები და შესაძლებლობები.

მეთოდოლოგიურად, ანგარიში სამაგიდე კვლევას, საპროგნოზო ანალიზსა და ექსპერტთა ფოკუს-ჯგუფს ეყრდნობა. ფოკუს-ჯგუფი, რომელშიც დაგრობრივი ექსპერტები მონაწილეობდნენ,

[2] Georgia Governance Index 2022. Georgian Institute of Politics. Available at: https://gip.ge/publication-post/the-georgia-governance-index-ggi-2022/

[3] Freedom House, “Nations in Transit 2023. Georgia.,” 2023, https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2023.

აღნიშნული ორი სცენარის შემუშავების ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო, რადგან ამ დისკუსიის დროს გამოიკვეთა თითოეული სცენარის განმსაზღვრელი ფაქტორები და შედეგები. ექსპერტებს მიეცათ დავალება, განეხილათ თითოეული სცენარის უარყოფითი და დადებითი შედეგები, რის შემდეგაც მიღებული შედეგები დაჯგუფდა თითოეული სცენარის შესაბამის რისკებად და შესაძლებლობებად როგორც საქართველოსთვის, ასევე, ევროკავშირისთვის. შუალედური ანგარიშის მოსამზადებლად აღნიშნულ მიგნებებს დაემატა ინტენსიური სამაგიდე კვლევა.

ანგარიშში წარმოდგენილი ორი სცენარი ევროკავშირის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 12 თვის პერიოდს მოიაზრებს. აღნიშნული პერიოდის ათვლა იწყება ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასა თუ არმინიჭებაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან და საქართველოში 2024 წლის ოქტომბერში დაგეგმილ არჩევნებამდე პერიოდს მოიცავს.

სცენარი „დიახ“:

საქართველო იღებს კანდიდატის სტატუსს

პოზიტიური „დიახ“ სცენარის აღწერა

ამ სცენარის მიხედვით, ევროკავშირი საქართველოს კანდიდატის სტატუსს ანიჭებს. ევროკომისია ხედავს გარკვეულ პროგრესს ქვეყნისთვის მიცემული 12 რეკომენდაციის შესრულების მხრივ,[4] შესაბამისად, ის დამატებით პირობებს უწესებს ქვეყანას, რომლებიც საქართველოს მთავრობამ მოლაპარაკებების ეტაპზე გადასასვლელად უნდა შეასრულოს. ვინაიდან ევროკავშირი საქართველოს თავისი ახალი გეოპოლიტიკური ხედვის ნაწილად მოიაზრებს, საქართველოს მიმართ ერთ-ერთი მთავარი პირობა შეიძლება იყოს მისი საგარეო პოლიტიკის მეტად დაახლოება ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ერთიან პოლიტიკასთან (CFSP).[5] ევროკავშირმა, შეიძლება, ეგრეთ წოდებული „ბოსნიური სცენარიც“ გამოიყენოს, როდესაც ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა სარაევოს კანდიდატის სტატუსი მიანიჭეს, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს გადაწყვეტილება, ძირითადად, მიღებული იქნა „ბოსნია და ჰერცეგოვინის მოსახლეობის“ გამო[6] იმ იმედით, რომ ქვეყნის პოლიტიკური ლიდერები აღნიშულ ამბიციას ფუნდამენტური რეფორმების გატარების გზით რეალობად აქცევდნენ. მეორე, ნაკლებ სავარაუდო მიდგომა, შეიძლება იყოს კანდიდატის სტატუსის მინიჭება იმ პირობით, რომ 12 რეკომენდაციის და დამატებითი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქვეყანას ეს სტატუსი ჩამოერთმევა .[7]

შესაძლებლობები

2023 წლის ნოემბერში კანდიდატის სტატუსის შესახებ დადებითი რეკომენდაცია და შემდგომში მისი მინიჭება მნიშვნელოვან შესაძლებლობებს წარმოშობს როგორც საქართველოსთვის, ასევე ევროკავშირისთვის. საუკეთესო სცენარის შემთხვევაში, სტატუსის მიღებამ შესაძლოა საქართველოში დაასტაბილუროს პოლიტიკური ლანდშაფტი, გააძლიეროს რეფორმის მომხრე აქტორები, შეამციროს პოლარიზაცია და პარტიული რადიკალიზაცია, ნაწილობრივ აღადგინოს ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაცია, მოიზიდოს მეტი ინვესტიცია და უფრო გაართულოს ევროპეიზაციის და რეფორმების პროცესის უკუსვლა. ევროკავშირის შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილებამ შესაძლოა გაზარდოს მისი გავლენა საქართველოს რეფორმების პროცესზე, გააძლიეროს მის ტრანსფორმაციული ძალა და ხელი შეუწყოს ევროკავშირის შესახებ დეზინ-

[4] Open Society Georgia Foundation. “EU Candidacy Check 6.0 - How Is Georgia Progressing towards Fulfilling 12 Priorities Defined by the EU Candidacy Check – CSOs’ Final Assessments,” September 15, 2023. https://osgf.ge/en/eu-candidacy-check-6-0-how-is-georgia-progressing-towards-fulfilling-12-priorities-defined-by-the-eu-eu-candidacy-check-csos-final-assessments/

[5] Akobia, Eka. “Georgia’s (Mis)Alignment with the EU Foreign Policy.” Civil Georgia, May 18, 2023. https://civil.ge/archives/542831

[6] EEAS. “EU Candidate Status for Bosnia and Herzegovina: A Message to the People and a Tasking for Politicians,” December 19, 2022. https://www.eeas.europa.eu/eeas/eu-candidate-status-bosnia-and-herzegovina-message-people-and-tasking-politicians-0_en.

[7] GPB First Channel, “MEP von Cramon Believes Georgia Might Get EU Candidate Status with Revoke Clause Compromise,” September 7, 2023, https://1tv.ge/lang/en/news/mep-von-cramon-believes-georgia-might-get-eu-candidate-status-with-revoke-clause-compromise/.

ფორმაციასთან ბრძოლას. ამ სცენარში ევროკავშირი ასევე გაამყარებს მის გეოპოლიტიკურ პოზიციას სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონებში.

რეფორმის მომხრე აქტორების გაძლიერება

საუკეთესო სცენარის შემთხვევაში, საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებამ შეიძლება ქვეყანაში გააძლიეროს რეფორმის მომხრეები, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოება, საზოგადოებრივი მოძრაობები, დამოუკიდებელი მედია, ადამიანის უფლებების დამცველი აქტივისტები და გაზარდოს ზეწოლა რეფორმის მოწინააღმდეგე აქტორებზე, მათ შორის არსებულ ხელისუფლებაზე. ამან, შესაძლოა, რეფორმების პროცესი დააჩქაროს, რადგან ხელისუფლება შესაძლოა აღმოჩნდეს როგორც ადგილობრივი აქტორების ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის ორმაგი წნეხის ქვეშ.

საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებამ შეიძლება, ასევე, ნაწილობრივ შეამციროს პოლარიზაცია და პარტიული რადიკალიზაცია. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მშფოთვარე უახლეს ისტორიას, უკიდურესად ანტაგონისტურ პოლიტიკურ კულტურას[8] და პოლიტიკური რადიკალიზაციის მაღალ დონეს, ასეთი პოზიტიური შედეგი, ალბათ, უფრო განუხორციელებელ სურვილად დარჩება მაშინაც კი, თუ საქართველო კანდიდატის სტატუსს მიიღებს. ეს რომ ასე მოხდეს, ევროკავშირსა და სხვა საგარეო აქტორებს უფრო მნიშვნელოვანი როლის შესრულება დასჭირდებათ იმისთვის, რომ დაეხმარონ როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციურ ძალებს ისეთ ახალ წესებზე შეთანხმებაში, რომლებიც საქართველოს პოლიტიკური სისტემისთვის დამახასიათებელი „ნულოვანი თამაშის“ მენტალიტეტის ფარგლებს გასცდება. მზარდი გამოწვევების წინაშე მდგომი ქვეყნის სტაბილიზაციისთვის ასევე მნიშვნელოვანია მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის განმტკიცება და კონსენსუსზე დაფუძნებული დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა.თუ საქართველო კანდიდატის სტატუსს მიიღებს, ასევე მნიშვნელოვანი შემდეგი ნაბიჯი შესაძლოა იყოს ქართული პოლიტიკური პარტიების ჩართვა ევროპარლამენტის მიერ ინიცირებულ ჟან მონეს დიალოგში.

საქართველოს შესაძლო დაბრუნება რეფორმების გზაზე

კანდიდატის სტატუსის საკითხის გადაწყვეტამ შესაძლოა საქართველოს საშუალება მისცეს, უკრაინასა და მოლდოვას დაეწიოს და რეფორმების მიმართულებით ბოლოდროინდელი სტაგნაცია გამოაცოცხლოს. მართალია, საქართველო ნაწილობრივ კვლავ წინ უსწრებს ასოცირების ტრიოს სხვა სახელმწიფოებს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ტექნიკური და ნორმატიული ჰარმონიზების კუთხით, მაგრამ დემოკრატიულმა უკუსვლამ და ხელისუფლების წინააღმდეგობრივმა გეოპოლიტიკურმა ნაბიჯებმა ქვეყნის რეპუტაცია საკმაოდ შელახა. კანდიდატის სტატუსის მიღების შემთხვევაში, საქართველოს შესაძლებლობა ექნება აღიდგინოს

[8] Archil Gegeshidze and Thomas De Waal, “Divided Georgia: A Hostage to Polarization,” *Carnegie Europe*, December 8, 2021, https://carnegieeurope.eu/2021/12/08/divided-georgia-hostage-to-polarization-pub-85937.

საერთაშორისო რეპუტაცია, მოიზიდოს საერთაშორისო ინვესტორები და გააუმჯობესოს ევროკავშირთან დაძაბული ურთიერთობები. ყოველივე ამან შესაძლოა, ასევე, ხელი შეუწყოს საქართველო-ევროკავშირის ორმხრივი ურთიერთობების პოზიტიურ ტრანსფორმაციას, რაც გაზრდის პოლიტიკურ სტაბილურობას და ორმხრივი ინტერესებისა და რეგიონული გამოწვევების გარშემო უფრო ფართო თანამშრომლობის შესაძლებლობებს შექმნის.

ევროკავშირის გავლენის გაძლიერება რეგიონში

საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ევროკავშირს მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს. პირველ რიგში, ასეთი გადაწყვეტილება გააძლიერებს ევროკავშირის გეოპოლიტიკურ როლს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს რეგიონში. ამგვარი სცენარის განვითარების შემთხვევაში არაა გამორიცხული გარკვეულწილად შემცირდეს დაძაბულობა საქართველოს მთავრობისა და ევროკავშირის ურთიერთობებში. ისეთი შემცირებული წნეხის პირობებში, როდესაც „ქართულ ოცნებას“ არ მოუწევს თავისი მოსახლეობის წინაშე თავის მართლება ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიუღებლობის გამო, უმრავლესობის წარმომადგენლებმა შესაძლოა ევროსკეპტიკური რიტორიკა ნაკლებ ანტაგონისტური მიდგომით შეცვალონ.

გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ, შესაძლოა, მეტი ძალისხმევა გაიღოს ევროკავშირის პოლიტიკასთან გაზრდილი თავსებადობის მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატის სტატუსის დადებითად გადაწყვეტა, დიდი ალბათობით, ძირითად პოლიტიკურ გამღიზიანებელს გააქრობს და დაძაბულობას შეამცირებს, ის შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი ფაქტორი „ქართული ოცნების“ ავტორიტარიზმისკენ სვლისა და მზარდი რუსული გავლენების შესაჩერებლად. აღნიშნული მოსაზრება მიბმულია საქართველოს არასტაბილურ გეოპოლიტიკურ მდგომარეობასთან, რომელიც რუსეთის უკრაინაში შეჭრამ კიდევ უფრო მოწყვლადი გახადა.

ამის მიუხედავად, კანდიდატის სტატუსის საკითხის გადაჭრამ შეიძლება მაინც გააძლიეროს ევროკავშირის გეოპოლიტიკური გავლენა რეგიონში. განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტორს, რომ მთიანი ყარაბაღის კრიზისის მოგვარებაში ევროკავშირს სტრატეგიული მონაწილეობა არ მიუღია, საქართველოში მისი გავლენის გაძლიერება შესაძლოა სამხრეთ კავკასიის რეგიონში ევროკავშირის გეოპოლიტიკური გავლენის შენარჩუნების მთავარი საყრდენი გახდეს. საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, დიდი ალბათობით, ასევე ძლიერი გზავნილი იქნება რუსეთისთვის, რათა შეეგუოს საქართველოს შეუქცევად ევროპეიზაციას. შედეგად, ამგვარმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა გააძლიეროს საქართველოს მედეგობა როგორც რუსეთის, ასევე ჩინეთის არასასურველი გავლენების მიმართ. გარდა ამისა, ამგვარმა სცენარმა შესაძლოა ასევე ხელი შეუწყოს რეგიონში სტაბილურობის მიღწევასა და დემოკრატიზაციის პროცესების გაძლიერებას.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების ევროსკეპტიკური მისწრაფებების მიუხედავად, ევროპული ინტეგრაცია ქართული საზოგადოებას ერთ-ერთ იშვიათ გამაერთიანებელ იდეად რჩება.[9] შესაბამისად, კანდიდატის სტატუსის მიღებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს საქართველოს ეროვნული ერთობისა და საზოგადოებრივი სოლიდარობის ზრდას და გააძლიეროს ქვეყნის საზოგადოებრივი მედეგობა რუსეთისგან მომავალი ჰიბრიდული და სამხედრო საფრთხეების წინაშე.

გავლენის გაძლიერება საქართველოს ევროპეიზაციის პროცესზე

საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი გადაწყვეტილება, დიდი ალბათობით, გაზრდის ევროკავშირის გავლენას საქართველოს რეფორმების პროცესზე. შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიული პირობითობის ეფექტურობა იზრდება იმ შემთხვევაში, როდესაც მიზნები მეტად მიღწევადად აღიქმება, განსაკუთრებით ქვეყნის მოსახლეობისთვის, რომელიც ყველა ჯერზე უარყოფითად რეაგირებს მთავრობის მხრიდან ევროინტეგრაციის გზიდან გადახვევაზე. კანდიდატის სტატუსმა, შესაძლოა, საქართველოში აუცილებელი რეფორმების გატარებისა და ევროინტეგრაციის შემდგომ ეტაპზე გადასვლის მოტივაცია გაზარდოს. ევროკავშირს უფრო ეფექტიანად შეუძლია დემოკრატიული პირობითობის პრინციპის გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ ის წინასწარ დადგენილ დროის ჩარჩოს მიჰყვება და მომდევნო ნაბიჯებს სწრაფად გადადგამს. სხვა შემთხვევაში, კანდიდატის სტატუსის გარეშე, ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივა შეიძლება მოკლევადიან პერსპექტივაში საქართველოს მხრიდან უფრო აბსტრაქტულ და მიუღწეველ მიზნად იყოს აღქმული.

რისკები

მართალია, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პოზიტიურ სცენარს პოტენციური სარგებელი მოაქვს როგორც საქართველოსთვის, ასევე ევროკავშირისთვის, თუმცა მას ამავდროულად რისკებიც ახლავს თან. აღნიშნულ რისკებს შორისაა ქართული ოცნების მთავრობის განგრძობითი სვლა ავტორიტარიზმის კონსოლიდაციისკენ.[10] შესაბამისად, კანდიდატის სტატუსი შეიძლება არასაკმარისი მოტივატორი აღმოჩნდეს იმისთვის, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობამ უარი თქვას ანტირეფორმულ დღის წესრიგსა და ანტიდასავლურ რიტორიკაზე.

[9] Civil Georgia, “IRI Poll Shows Strong Support of Georgian Citizens for EU Membership,” April 25, 2023, https://civil.ge/archives/538790.
[10] Liana Fix and Caroline Kapp, “The Dangers of Democratic Backsliding in Georgia,” June 21, 2023, https://www.cfr.org/article/dangers-democratic-backsliding-georgia.

ევროკავშირის კანდიდატობამ შესაძლოა გააძლიეროს არსებული ხელისუფლება

ევროკომისიის რეკომენდაციების სრულად შესრულების გარეშე საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებამ შესაძლოა გაამყაროს ქართული ოცნების ხელისუფლების ლეგიტიმურობა და გააძლიეროს მისი პოზიცია რეფორმების მომხრე ადგილობრივი აქტორების წინააღმდეგ, როგორიცაა პროევროპული სამოქალაქო საზოგადოება. საჭირო რეფორმების გასატარებლად საჭირო პოლიტიკური ნების ნაკლებობა „ქართულ ოცნებაში“ კვლავ კანდიდატის სტატუსის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. მიუხედავად ევროკავშირის სურვილისა, რომ საქართველოს მთავრობის მხრიდან არასაკმარისი ძალისხმევის მიუხედავად, საქართველოს მაინც მიანიჭოს კანდიდატის სტატუსი, არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ ევროკავშირის ამგვარ გადაწყვეტილებას „ქართული ოცნების“ ხელისუფლება დემოკრატიული რეფორმების დაჩქარებითა და მოლაპარაკების პროცესში წინსვლით უპასუხებს. პირიქით, მან ეს მიღწევა შეიძლება საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, ოპოზიციის დასასუსტებლად და 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში დიდი უპირატესობით გამარჯვების მოსაპოვებლად გამოიყენოს. თუ ხელისუფლება ამ გზას აირჩევს, მოსალოდნელია, რომ ქვეყანაში პოლარიზაცია და რადიკალიზაცია კიდევ უფრო გაღრმავდება, გამყარდება ავტორიტარიზმი, საქართველო გადაუხვევს ევროპული ინტეგრაციის გზიდან და რუსეთის მავნე გავლენის მიმართ მეტად მოწყვლადი გახდება. შესაბამისად, ევროკავშირი თავის მთავარ ბერკეტს - კანდიდატის სტატუსს - უსარგებლოდ გახარჯავს.

რეპუტაციული ზიანი ევროკავშირისთვის

რეფორმების მიმართულებით არასაკმარისი პროგრესისა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ევროსკეპტიკური რიტორიკის მიუხედავად საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, ევროკავშირს შესაძლოა მნიშვნელოვანი რეპუტაციული ზიანი მიადგეს (ინტერვიუ 1,4). ევროკავშირს ისედაც უწევს უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანის მსგავს არასაიმედო აქტორებთან გამკლავება (იგივე). საქართველოსთვის სტატუსის მინიჭებამ, რომელიც ანალოგიურად იქცევა, შესაძლოა ევროკავშირის შიგნით გაფართოების პროცესის მიმართ ნდობა შეასუსტოს (ინტერვიუ 2).

კანდიდატის სტატუსის მიუხედავად, საქართველო შესაძლოა რუსეთის გეოპოლიტიკურ ორბიტაზე დარჩეს

კიდევ ერთ რისკს, რომელიც საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას ახლავს თან, ქვეყნის ბოლოდროინდელი საგარეო პოლიტიკის მიმართულება წარმოადგენს, რომელიც ერთი შეხედვით ევროკავშირთან ურთიერთობებისა და რუსეთთან მიტმასნების პოლიტიკის დაბალანსებას ცდილობს.[11] ამ პირობებში, არ არსებობს იმის გარანტია, რომ კანდიდატის სტატუსი საქართველოს ხელისუფლებას რუსეთისგან ჩამოშორებისა და საგარეო პოლიტიკის ევრო-

[11] Joshua Kucera, “Georgia’s Diplomatic Balancing Act Is Getting Harder To Pull Off,” RFE/RL, May 22, 2023, https://www.rferl.org/a/georgia-diplomatic-balancing-act-russia/32422820.html.

კავშირთან დაახლოებისკენ უბიძგებს. ყველაზე ცუდ სცენარში, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება კანდიდატის სტატუსს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების მოსაპოვებლად გამოიყენებს იმგვარად, რომ არ შეცვლის საგარეო პოლიტიკის არჩეულ მიმართულებას, რომელიც საქართველოში რუსეთის გავლენის ზრდის ხელშეწყობითა და ანტიდასავლური რიტორიკით ხასიათდება.[12]

„ქართულმა ოცნებამ“ შესაძლოა ასევე გააგრძელოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის დივერსიფიცირება რუსეთის მიღმა სხვა არალიბერალური აქტორებთან კავშირების დამყარების გზით.[13] ამგვარი მიდგომის ერთ-ერთი პოტენციური შედეგი შესაძლოა ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერებაც იყოს, რომელიც ცოტა ხნის წინ ხელმოწერილი შეთანხმებით ჩამოყალიბდა.[14]

[12] Kornely Kakachia, “Georgian Foreign Policy Strategy in Uncertain Times,” Central Asia-Caucasus Analyst Feature Article (September 5, 2022), https://www.cacianalyst.org/resources/pdf/220905_FT-Georgia.pdf.
[13] Irina Arabidze, “Georgia Plays Footsie With the Authoritarian Bloc,” CEPA, August 23, 2023, https://cepa.org/article/georgia-plays-footsie-with-the-authoritarian-bloc/.
[14] Saba Gujabidze, “Georgia’s Strategic Relationship With China Worries Partners in the West. Voice of America,” VOA News, August 16, 2023, https://www.voanews.com/a/georgia-s-strategic-relationship-with-china-worries-partners-in-west-/7227496.html.

ცხრილი 1: „დიახ“ სცენარის რისკები და შესაძლებლობები

	ევროკავშირი	საქართველო
შესაძლებლობები	_____ გაძლიერდება ევროკავშირის გეოპოლიტიკური გავლენა საქართველოში და შავი ზღვის რეგიონში. _____ მკაფიო სიგნალი გაეგზავნება რუსეთს. _____ ევროკავშირს მეტი გავლენა ექნება საქართველოს რეფორმების პროცესსა და შიდა პოლიტიკურ დინამიკაზე. _____ გაფართოვდება ევროკავშირის ჩართულობა რეგიონში.	_____ გაძლიერდებიან რეფორმის მომხრე აქტორები. _____ ევროპეიზაცია გახდება უფრო მეტად ინსტიტუციონალიზებული. _____ გააქტიურდება ინსტიტუციური დიალოგი ევროკავშირთან. _____ საქართველო გახდება მომავალი პოლიტიკური დისკუსიების ნაწილი ევროკავშირის მომავლის შესახებ სტრატეგიულ დებატებში. _____ საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციის გაძლიერება.
რისკები	_____ „მთავარი კოზირის“ გაცემით, საქართველოს რეფორმების პროცესზე ევროკავშირის ზეწოლის ბერკეტები შესუსტდება. _____ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებამ შესაძლოა ევროკავშირს რეპუტაციული ზიანი მიაყენოს. _____ საქართველო შესაძლოა ევროკავშირში რუსული გავლენის „ტროას ცხენად“ იქცეს.	_____ „ქართული ოცნების“ მთავრობამ შესაძლოა კანდიდატის სტატუსის მოპოვება თავის დამსახურებად წარმოაჩინოს და აღნიშნული მიღწევა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. _____ რადიკალური მემარჯვენე ძალები შესაძლოა კიდევ უფრო გააქტიურდნენ.

სცენარი „არა“:

საქართველო ვერ იღებს კანდიდატის სტატუსს

ნეგატიური „არა“ სცენარის აღწერა

ამ სცენარის მიხედვით, ევროკავშირი იღებს გადაწყვეტილებას, არ მიანიჭოს საქართველოს კანდიდატის სტატუსი რეფორმების მიმართულებით პროგრესის არარსებობის გამო. ამის ნაცვლად, დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის, ევროკავშირი მოითხოვს მეტი პროგრესის ჩვენებას ევროკომისიის მიერ გაცემული 12 რეკომენდაციის შესრულების პროცესში. ამასთან, ევროკავშირი აკრიტიკებს ბუნდოვანებას საქართველოს საგარეო პოლიტიკაში და მის შეუსაბამობას ევროკავშირის საგარეო პოლიტიკასთან, შედეგად, თბილისისაგან ითხოვს მეტ სიცხადეს თავის გეოპოლიტიკურ ხედვაში.

შესაძლებლობები

როგორც წესი, ექსპერტები „არა“ სცენარს ბევრად უფრო სარისკოდ მიიჩნევენ, ვიდრე „დიახ“ სცენარს. თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც შეიძლება საუბარი შესაძლებლობებზე როგორც ევროკავშირისთვის, ისე საქართველოსთვის. საქართველოსთვის ამგვარმა შედეგმა, შეიძლება, ბიძგი მისცეს ახალ პოლიტიკურ დინამიკას, რაც ხელს შეუწყობს ხელსაყრელი გარემოს შექმნას ქვეყნის დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციისათვის. ამავე დროს, უარი კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე და ნეგატიური პირობითობის გავრცელება საქართველოს მოქმედ მთავრობასა და სხვა პოლიტიკურ სუბიექტებზე საშუალებას მისცემს ევროკავშირს, შეინარჩუნოს გავლენის ბერკეტი და უფრო ეფექტიანად განახორციელოს წნეხი საქართველოს დემოკრატიული უკუსვლის წინააღმდეგ.

ახალი პოლიტიკური დინამიკა საქართველოში

იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ვერ მოიპოვებს კანდიდატის სტატუსს, ქვეყანა, შესაძლოა, მორიგ პოლიტიკურ კრიზისში შევიდეს. ამან, შეიძლება, დაასუსტოს „ქართული ოცნების“ მთავრობა, რადგან საზოგადოებრივი აზრი მობილიზდება მის წინააღმდეგ საქართველოს კანდიდატის სტატუსის მოპოვების გზაზე მარცხის გამო. შესაბამისად, დიდი შანსია, რომ ევროკავშირის წევრობის სასარგებლოდ მაღალი საზოგადოებრივი მხარდაჭერა მობილიზდეს სამოქალაქო საზოგადოებისა და, დიდწილად ფრაგმენტული ოპოზიციის გარშემოც კი. მხარდაჭერის ამგვარმა გადანაცვლებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ხელისუფლების ცვლილება 2024 წლის არჩევნებზე ან აიძულოს მთავრობა, შეცვალოს ზედაპირული მიდგომა რეფორმებისადმი ელექტორალური ზიანის შემცირების მიზნით.

თუმცა მოვლენათა განვითარების ეს სცენარი არ არის გარანტირებული. საქართველოს საარჩევნო პოლიტიკაზე დიდ გავლენას ახდენს საშინაო დინამიკა.[15] ჰიბრიდული რეჟიმების უმეტესობის მსგავსად, „ქართული ოცნება“ ფლობს უზარმაზარ ადმინისტრაციულ და ოლიგარქიულ რესურსებს, თავის კონტროლქვეშ არსებულ ბიზნესს და უმეტესად არაქმედით

[15] Régis Genté, “Broken Dream: The Oligarch, Russia, and Georgia’s Drift from Europe,” December 21, 2022, https://ecfr.eu/publication/broken-dream-the-oligarch-russia-and-georgias-drift-from-europe/.

სასამართლო სისტემას.[16] ამასთან, პოლიტიკური ველი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კვლავ არათანაბრადაა გადანაწილებული.[17] რთულია იმის მტკიცება, რომ ოპოზიცია შეძლებს, დაიბრუნოს იმედგაცრუებული ამომრჩევლების მნიშვნელოვანი მხარდაჭერა. მეორე მხრივ, არც იმის გარანტია არსებობს, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობა გახდება მეტად უფრო ორიენტირებული ფუნდამენტურ რეფორმებზე და ღია თანამშრომლობისთვის, რადგან წინა-საარჩევნო პერიოდები, როგორც წესი, გამოირჩევა ნეგატიური კამპანიებითა და გაღრმავებული პოლარიზაციით. თუმცა თუ ოპოზიცია, ყველაფრის მიუხედავად, მოახერხებს არჩევნებში „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დამარცხებას და მრავალპარტიულ კოალიციას ჩამოაყალიბებს, ამან შეიძლება, სათავე დაუდოს ახალ ეტაპს ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობებში, რის შედეგადაც, საქართველო შეძლებს გაცილებით უფრო სწრაფად წაიწიოს წინ ევროკავშირის წევრობისკენ მიმავალ გზაზე.

ევროკავშირის ნორმატიული პრინციპულობა

ევროკავშირის პერსპექტივიდან, 2023 წელს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა, შესაძლოა, მიუთითებდეს, რომ ბრიუსელმა საქართველოს ხელის-უფლებასთან ურთიერთობები ნეგატიური პირობითობის პრინციპებზე გადაიყვანა. ეს მიდგომა, შეიძლება, შედეგის მომტანი იყოს სიტუაციებში, როდესაც პროდემოკრატიული სუბიექტები ქვეყანაში ძლიერია, ხოლო მმართველი რეჟიმი - სუსტი და არაპოპულარული. ამ თვალსაზრისით, საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი, დიდი ალბათობით, კვლავ ცვალებადი და არაპროგნოზირებადი იქნება. ახალი პოლიტიკური ძალებისა და მოვლენების განვითარების შემთხვევაში, ქვეყანაში პოლიტიკური დინამიკა, შესაძლოა, სწრაფად შეიცვალოს.

პროგრესის არარსებობის ფონზე კანდიდატის სტატუსზე უარის თქმა ხაზს გაუსვამს ევროკავშირის მორალურ პრინციპულობას და მის მყარ პოზიციას, რომ გაფართოება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ დამსახურებას (ინტერვიუ 3). ამასთან, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს სამომავლო გაფართოების პროცესებთან დაკავშირებით იგივე მიდგომის შემთხვევაში ნაკლები თავის მართლება მოუწევთ იმ კანდიდატ ქვეყნებთან დაკავშირებით, რომლებსაც რეფორმებთან დაკავშირებით მსგავსი ზედაპირული მიდგომა ექნებათ. კანდიდატის სტატუსის არმინიჭების შემთხვევაში, ევროკავშირი შეძლებს, თავიდან აიცილოს კიდევ უფრო მჭიდროდ დაკავშირება საქართველოსთან, როგორც პრობლემატურ ქვეყანასთან. სანაცვლოდ, შეძლებს, მეტად ფოკუსირდეს მოლდოვასა და უკრაინაზე (ინტერვიუ 4).

[16] Stephen Jones and Natalie Sabanadze, “Elections Are Not Enough: Georgia Needs a New Model of Democracy,” Eurasianet, May 10, 2023, https://eurasianet.org/perspectives-elections-are-not-enough-georgia-needs-a-new-model-of-democracy.

[17] Stephen Jones and Natalie Sabanadze, “Elections Are Not Enough: Georgia Needs a New Model of Democracy,” Eurasianet, May 10, 2023, https://eurasianet.org/perspectives-elections-are-not-enough-georgia-needs-a-new-model-of-democracy.

რისკები

საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების გადადება გარკვეულ რისკებს შეიცავს ევროკავშირისა და საქართველოსთვის. ასეთი გადავადება საქართველოში გამოიწვევს დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომ ეროზიას, კონსოლიდირებული ავტორიტარიზმის მომძლავრებას, პოლიტიკური დესტაბილიზაციის გაღრმავებას და ევროკავშირისგან ჩამოშორების პროცესის კიდევ უფრო დაჩქარებას, რაც, პოტენციურად, თბილისს რუსეთის სატელიტ სახელმწიფოდ აქცევს.

ამ სცენარის მიხედვით, სერიოზული რისკების წინაშე დგას, ასევე, თავად ევროკავშირი. მისი რბილი ძალა და რეპუტაცია რეგიონში, შესაძლოა, დაზიანდეს, ხოლო საქართველოში მისი გეოპოლიტიკური გავლენა, შესაძლოა, შემცირდეს, რაც, პოტენციურად, რუსეთს გაუადვილებს რეგიონში ჰეგემონური პოზიციების გამყარებას.

პოლარიზაციის გაღრმავება და ავტორიტარიზმის გაძლიერება

კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე უარმა, შესაძლოა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ავტორიტარული კონსოლიდაციის დაჩქარებისკენ უბიძგოს. ხელისუფლებამ, შესაძლოა, დაასკვნას, რომ სუსტდება დემოკრატიული გარემო ქვეყანაში და შეუძლია, შიდაპოლიტიკური გადარჩენისთვის, ერთი მხრივ, შეავიწროოს ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოება, მეორე მხრივ, გააძლიეროს საკუთარი ავტორიტარული აპარატი. აქ მნიშვნელოვანია, რომ განვასხვავოთ ავტორიტარული კონსოლიდაცია და დემოკრატიული უკუსვლა. ამ დრომდე, „ქართული ოცნების“ მთავრობა არ ატარებს საჭირო რეფორმებს, რაც შედეგად დემოკრატიულ სტაგნაციას ან დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის შეფერხებას იწვევს. თუმცა, კანდიდატის სტატუსზე უარის თქმამ, შესაძლოა, „ქართულ ოცნებას“ მისცეს ერთგვარი კარტ ბლანში და იმის დამატებითი მოტივაცია, რომ საბოლოოდ მოარღვიოს დემოკრატიული სტრუქტურები და მეტად ღია ავტორიტარული რეჟიმი შექმნას (ინტერვიუ 3). ავტორიტარული კონსოლიდაცია შეიძლება მჭიდროდ დაუკავშირდეს რუსეთთან პოლიტიკურ დაახლოებას იმის გათვალისწინებით, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობას დასჭირდება დიდი ავტორიტარული სახელმწიფოების მხარდაჭერა საქართველოში სტაბილური ავტორიტარული რეჟიმის შექმნისას (ინტერვიუ 3).

თავის მხრივ, ოპოზიციამ შესაძლოა გამოიყენოს „ქართული ოცნების“ წარუმატებლობა და მოითხოვოს მთავრობის გადადგომა. ეს დაპირისპირება 2024 წლის უმნიშვნელოვანესი არჩევნების წინ გაამწვავებს პოლარიზაციას და გააღრმავებს დაპირისპირებას ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის.

პოლიტიკური არასტაბილურობის გამწვავება

ამგვარმა პოლიტიკურმა ჩიხმა, შეიძლება, ქვეყანა შეიყვანოს ხანგრძლივ კრიზისში, ერთი მხრივ, საპროტესტო მოძრაობებითა და ოპოზიციის სამოქალაქო დაუმორჩილებლობით, მეორე მხრივ, ძალისმიერი რეაგირებით მთავრობის მხრიდან. გარდა ამისა, თუ 2024 წლის არჩევნებში ქართული ოცნება გაიმარჯვებს, ევროკავშირთან ურთიერთობები, შესაძლოა, კიდევ უფრო დაიძაბოს. საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე ევროკავშირის უარით განაწყენებულმა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ, შეიძლება, გააგრძელოს და უფრო გააქტიუროს კიდეც ძალისხმევა რუსეთთან, ჩინეთთან და სხვა არალიბერალურ აქტორებთან დასაახლოებლად, რაც დააზიანებს ევროკავშირის ინტერესებს რეგიონში. გრძელვადიან პერსპექტივაში, ევროკავშირისგან (და დასავლეთისგან) გაუცხოება დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ უკუსვლას გამოიწვევს. გაიზრდება უკანონო მიგრაცია და ეგრეთ წოდებული „ტვინების გადინება“ გამომდინარე იქიდან, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იმედგაცრუებული დარჩება მთავრობითა და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარებით. დაიკლებს ეკონომიკური და მარეგულირებელი რეფორმების ტემპი, განსაკუთრებით იმ მიმართულებებით, სადაც გათვალისწინებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. ეს კი, საბოლოოდ, ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურების კონკურენტუნარიანობას შეამცირებს.

ევროკავშირის გეოპოლიტიკური გავლენის დაკარგვა და ასოცირების ტრიოს დაშლა

მოვლენების ასეთმა განვითარებამ, შესაძლოა, შეასუსტოს ევროკავშირის გავლენა საქართველოში და უფრო ფართო სამხრეთ კავკასიის რეგიონში. მაშინ, როცა აზერბაიჯანი, როგორც ნავთობმომპოვებელი სახელმწიფო უკვე კონსოლიდირებული ავტორიტარიზმია, ხოლო სომხეთში არეულობაა, საქართველო, პროევროპული საზოგადოებრივი განწყობებით ინარჩუნებს საშუალოვადიან და გრძელვადიან პოტენციალს, დარჩეს ევროკავშირის სტაბილურ მოკავშირედ რეგიონში დღევანდელი ხელისუფლების ბუნდოვანი და არათანმიმდევრული საგარეო პოლიტიკის პირობებშიც კი. თუმცა, კანდიდატის სტატუსზე უარმა, შეიძლება, დააჩქაროს ევროკავშირთან გეოპოლიტიკური და ნორმატიული ურთიერთობების გარდაქმნა ტრანსაქციურ, დისტანციურ ურთიერთობებში, რაც უფრო მეტად ეფუძნება პრაგმატიზმს, ვიდრე გაზიარებულ ღირებულებებს.

სტატუსზე უარის სცენარის შემთხვევაში, კიდევ ერთი მსხვერპლი იქნება ასოცირების ტრიოს ფორმატი, რომელიც უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ სერიოზულ კრიზისშია. შესაძლოა, ის საბოლოოდ დაიშალოს იმ შემთხვევაში, თუ ევროინტეგრაციის პროცესებში საქართველოს ჩამორჩენა ორ დანარჩენ ქვეყანასთან კიდევ უფრო გაიზრდება. ეს სერიოზული დანაკარგი იქნება არა მარტო საქართველოსთვის, როგორც ქვეყნისა და საზოგადოებისთვის, არამედ ევროკავშირისთვისაც, რადგან ასოცირების ტრიო ასრულებდა ევროკავშირის გეოპოლიტიკური გავლენის ძირითადი საყრდენის ფუნქციას მეტწილად ავტორიტარულ რეგიონში.

ევროკავშირის რბილი ძალის შემცირება

კანდიდატის სტატუსზე უარის შემთხვევაში, კიდევ ერთი სერიოზული რისკია საზოგადოების საყოველთაო იმედგაცრუება საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივებთან დაკავშირებით. ეს იმედგაცრუება განსაკუთრებით დიდი იქნება საზოგადოების მოწყვლად ჯგუფებში, რომლებიც ისედაც უამრავ პრობლემას აწყდებიან. ეს აპათიის და უიმედობის განცდას გააჩენს ქვეყნის მომავალი ტრაექტორიის და ცხოვრებისა და მმართველობის ევროპული სტანდარტების რეალისტურობასთან დაკავშირებით.

ეს იმედგაცრუება, შესაძლოა, გაამძაფროს დეზინფორმაციისა და ანტიევროპული პროპაგანდის დამაზიანებელმა გავლენებმა. მსგავსი კამპანიები, რომლებიც ამ დრომდეც აქტიურად მუშაობს ქვეყანაში, გაძლიერდება და გააღრმავებს გავრცელებულ იმედგაცრუებას.[18] ანტიდასავლური აქტორები ევროკავშირს წარმოაჩენენ არასაიმედო პარტნიორად, გააღვივებენ სკეპტიციზმს და შეარყევენ ნდობას ევროკავშირის ამოცანებისა და განზრახვების მიმართ.

[18] Euronews, “Anti-EU Protests in Georgia: Are They Staged or Real?,” March 16, 2023, https://www.euronews.com/2023/03/16/anti-eu-protests-in-georgia-are-they-staged-or-real.

ცხრილი 2. „არა“ სცენარის რისკები და შესაძლებლობები

შესაძლებლობები	_____ რეფორმის მომხრე აქტორების გაძლიერება ნეგატიური პირობითობის გამოყენებით; _____ ევროკავშირის ნორმატიული პრინციპულობის ჩვენება და იმის დადასტურება, რომ გაფართოების პროცესი დაფუძნებულია დამსახურებაზე.	_____ საზოგადოებრივი ნდობის პოტენციური ზრდა სამოქალაქო სექტორის მიმართ. _____ საზოგადოებრივი ნდობის პოტენციური ზრდა დემოკრატიული კომპეტენტური ოპოზიციის მიმართ.
რისკები	_____ შემდგომი დარტყმა ევროკავშირის რეპუტაციაზე და საქართველოს ევროინტეგრაციის მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერის შემცირება; _____ რეგიონში ევროკავშირის რბილი ძალის შემცირება; _____ პრორუსული (ულტრამემარჯვენე) ძალების გააქტიურება.	_____ შემდგომი დემოკრატიული უკუსვლა _____ პოლიტიკური გაუცხოება ევროპისგან _____ პოლიტიკური დესტაბილიზაცია _____ ასოცირების ტრიოს საბოლოო დაშლა _____ საქართველო ხდება ჩამორჩენილი ქვეყანა რეფორმების თვალსაზრისით რეგიონში _____ ემიგრაციის და „ტვინების გადინების“ ტემპის მატება _____ საზოგადოების ფრუსტრაცია _____ შეჩერებული რეფორმები _____ ევროკავშირში ინტეგრაციის შეჩერებული პროცესი

დასკვნა

წარმოდგენილ ანგარიშში განხილულია ორი სხვადასხვა სცენარის - საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებისა და არმინიჭების შესაძლო შედეგები. ევროკავშირის მთავარი დილემა ისაა, თუ როგორ აწარმოოს ურთიერთობები საქართველოს არამდგრად და ზრდად ავტორიტარულ ხელისუფლებასთან, რომელმაც, ერთი მხრივ, მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა ევროკომისიის მიერ განსაზღვრული პირობები და, მეორე მხრივ, დაიკავა შემრიგებლური პოზიცია რუსეთის პოლიტიკის მიმართ.[19] ორივე სცენარის საფუძვლიანმა მოკვლევამ გამოკვეთა ის შესაძლებლობები და მნიშვნელოვანი რისკები, რომლებიც თითოეულ მათგანს შეიძლება სდევდეს თან. თუმცა, მთლიანობაში თუ ვიმსჯელებთ, **ფართო პოლიტიკური და რეგიონული კონტექსტის გათვალისწინებით, 2023 წელს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება შედარებით უსაფრთხო ვარიანტს წარმოადგენს ევროკავშირისთვის.**

ასეთი დასკვნის გამოტანის სამი მიზეზი არსებობს. პირველი არის ის, რომ საქართველოში, მართალია, დემოკრატიული რეფორმები შეჩერდა, ხოლო „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ვერ შეძლო უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ ევროკავშირის გაფართოებისთვის პოლიტიკური შესაძლებლობის გამოყენება, საქართველო კვლავ შეესაბამება აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა კანდიდატი ქვეყნებისა და დასავლეთ ბალკანეთის კანდიდატი ქვეყნების (ნახევრად)-დემოკრატიულ მახასიათებლებს. საქართველოს დემოკრატიული მაჩვენებლები მკვეთრად არ ჩამოუვარდება ამ ქვეყნების მაჩვენებლებს. ასევე, საქართველოს გეოპოლიტიკური დაახლოება რუსეთთან, შესაძლოა, უსიამოვნოა ევროკავშირისთვის, მაგრამ სხვა კანდიდატი ქვეყნებიც ანალოგიურად იქცევიან. მოლდოვა ინარჩუნებს ნეიტრალურ სტატუსს,[20] ხოლო სერბეთი წლებია მჭიდრო ურთიერთობებს აწარმოებს რუსეთთან.[21]

მეორე მიზეზი გეოპოლიტიკურ პრიზმაში შეიძლება დავინახოთ. აზიისა და ევროპის გზაგასაყარზე მდებარე საქართველო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკურ და უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით ფართო შავი ზღვის რეგიონსა და ევროპის შემოგარენში. ის მნიშვნელოვანი სატრანზიტო დერეფანია აზიასა და ევროპას შორის და წარმოადგენს მარშრუტს რუსეთის გვერდის ავლით.[22] ბოლოდროინდელი ტენდენციის მიხედვით, თბილისი უფრო რუსეთისკენ და სხვა არალიბერალური აქტორებისკენ იხრება და ევრო-კავშირისგან დისტანცირდება. შესაბამისად, გააქტიურებული გეოპოლიტიკური კონკურენციის ეპოქაში ევროკავშირის ინტერესებში არ შედის, რომ პროევროპული სახელმწიფო, როგორიც საქართველოა, რუსეთის ორბიტაზე მოხვდეს. ვინაიდან ევროკავშირს ახლა გადასაწყვეტი აქვს, თუ როგორ მოაგვაროს ეს პრობლემა, საქართველოსთვის ევროკავშირის

[19] Bidzina Lebanidze and Kornely Kakachia, “Bandwagoning by Stealth? Explaining Georgia’s Appeasement Policy on Russia,” European Security, 2023, 1–20.
[20] Euronews. “Staying Neutral: Moldova’s PM Natalia Gavriliță Says Yes to Joining the EU but No to NATO,” August 3, 2022. https://www.euronews.com/2022/03/08/staying-neutral-moldova-s-pm-natalia-gavrilita-says-yes-to-joining-eu-but-no-to-nato.
[21] Dimitar Bechev, “Hedging Its Bets: Serbia Between Russia and the EU,” Carnegie Europe, January 19, 2023, https://carnegieeurope.eu/2023/01/19/hedging-its-bets-serbia-between-russia-and-eu-pub-88819.
[22] Emil Avdaliani, “What’s Behind China’s Strategic Partnership With Georgia?,” Carnegie Politika, August 17, 2023, https://carnegieendowment.org/politika/90394.

კანდიდატის სტატუსის მინიჭება მოხსნიდა უთანხმოებას ევროკავშირსა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას შორის და ამ უკანასკნელს ევროკავშირის მიმართ უფრო მეგობრული საგარეოპოლიტიკური პოზიციონირებისკენ უბიძგებდა. მეორე მხრივ, კანდიდატის სტატუსის არმინიჭებამ და ნეგატიური პირობითობის გამოყენებამ, შეიძლება, სხვადასხვანაირი შედეგები მოიტანოს - ხელისუფლების ცვლილებიდან დაწყებული არსებული მთავრობის ავტორიტარული კონსოლი-დაციით დამთავრებული. მომავალი არჩევნებისა და ქართული პოლიტიკის არაპროგნოზირ-ებადობის გათვალისწინებით, კონკრეტული წინასწარმეტყველება რთული ამოცანაა. მიუხ-ედავად ამისა, ევროკავშირი მზად უნდა იყოს მოვლენების ნებისმიერი განვითარებისთვის.

და ბოლოს, კანდიდატის სტატუსის მინიჭება, დიდწილად, სიმბოლური ხასიათის მოვლენაა. ის არც საქართველოს უზრუნველყოფს რაიმე პრივილეგიით და არც ევროკავშირს აკისრებს ვალდებულებებს. ევროკავშირი იტოვებს უფლებას, შეაჩეროს საქართველოს ევროკავშირში გაწევრება განუსაზღვრელი დროით, თუ თბილისი ვერ შეძლებს პასუხისმგებლობის ან პროგრესის ჩვენებას. მეორე მხრივ, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებამ, შეიძლება, გაზარდოს ევროკავშირის თანამონაწილეობა ქვეყანაში რეფორმების მიმდინარ-ეობაში. ევროკავშირის წევრობის „მთავარი ღირებულება“ (Golden Carrot) უფრო რეალისტური გახდება, ხოლო წნეხი ხელისუფლებაზე, რომ საჭირო რეფორმები გაატაროს, მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ამგვარად, ბრიუსელმა თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად უნდა მოძებნოს კრეატიული და შემოქმედებითი გზები, რომ არ წაახალისოს საქართველოში ავტორ-იტარიზმის მზარდი ტენდენციები და ასევე არ დაკარგოს გავლენა რეფორმების პროცესზე. განურჩევლად იმისა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ევროკავშირი, აუცილებელია კოპენჰაგენის კრიტერიუმების დაცვა და თბილისისთვის მკაცრი დემოკრატიული მოთხოვნების დაყენება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს ხელისუფლების მიერ ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების მუდმივ კონტროლს. ფსონები ამ პროცესში მაღალია და მათ მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ არა მარტო საქართველოზე, არამედ მთელ რეგიონზე.

ბიბლიოგრაფია

Akobia, Eka. “Georgia’s (Mis)Alignment with the EU Foreign Policy.” Civil Georgia, May 18, 2023. https://civil.ge/archives/542831.

Arabidze, Irina. “Georgia Plays Footsie With the Authoritarian Bloc.” CEPA, August 23, 2023. https://cepa.org/article/georgia-plays-footsie-with-the-authoritarian-bloc/.

Avdaliani, Emil. “What’s Behind China’s Strategic Partnership With Georgia?” *Carnegie Politika*, August 17, 2023. https://carnegieendowment.org/politika/90394.

Bechev, Dimitar. “Hedging Its Bets: Serbia Between Russia and the EU.” *Carnegie Europe*, January 19, 2023. https://carnegieeurope.eu/2023/01/19/hedging-its-bets-serbia-between-russia-and-eu-pub-88819.

Civil Georgia. “IRI Poll Shows Strong Support of Georgian Citizens for EU Membership,” April 25, 2023. https://civil.ge/archives/538790.

EEAS. “EU Candidate Status for Bosnia and Herzegovina: A Message to the People and a Tasking for Politicians,” December 19, 2022. https://www.eeas.europa.eu/eeas/eu-candidate-status-bosnia-and-herzegovina-message-people-and-tasking-politicians-0_en.

EU Neighbours East. “‘A Way Ahead for Georgia’. Proposal by President of the European Council Charles Michel to the Representatives of Georgian Political Parties,” April 23, 2021. https://euneighbourseast.eu/news/publications/a-way-ahead-for-georgia-proposal-by-president-of-the-european-council-charles-michel-to-the-representatives-of-georgian-political-parties/.

Euronews. “Anti-EU Protests in Georgia: Are They Staged or Real?,” March 16, 2023. https://www.euronews.com/2023/03/16/anti-eu-protests-in-georgia-are-they-staged-or-real.

———. “Staying Neutral: Moldova’s PM Natalia Gavriliță Says Yes to Joining the EU but No to NATO,” August 3, 2022. https://www.euronews.com/2022/03/08/staying-neutral-moldova-s-pm-natalia-gavrilita-says-yes-to-joining-eu-but-no-to-nato.

Fix, Liana, and Caroline Kapp. “The Dangers of Democratic Backsliding in Georgia,” June 21, 2023. https://www.cfr.org/article/dangers-democratic-backsliding-georgia.

Freedom House. “Nations in Transit 2023. Georgia.,” 2023. https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2023.

Gegeshidze, Archil, and Thomas De Waal. “Divided Georgia: A Hostage to Polarization.” *Carnegie Europe*, December 8, 2021. https://carnegieeurope.eu/2021/12/08/divided-georgia-hostage-to-polarization-pub-85937.

Genté, Régis. “Broken Dream: The Oligarch, Russia, and Georgia’s Drift from Europe,” December 21, 2022. https://ecfr.eu/publication/broken-dream-the-oligarch-russia-and-georgias-drift-from-europe/.

GPB First Channel. “MEP von Cramon believes Georgia might get EU candidate status with revoke clause compromise,” September 7, 2023. https://1tv.ge/lang/en/news/mep-von-cramon-believes-georgia-might-get-eu-candidate-status-with-revoke-clause-compromise/.

Gujabidze, Saba. “Georgia’s Strategic Relationship With China Worries Partners in the West. Voice of America.” VOA News, August 16, 2023. https://www.voanews.com/a/georgia-s-strategic-relationship-with-china-worries-partners-in-west-/7227496.html.

Jones, Stephen, and Natalie Sabanadze. “Elections Are Not Enough: Georgia Needs a New Model of Democracy.” Eurasianet, May 10, 2023. https://eurasianet.org/perspectives-elections-are-not-enough-georgia-needs-a-new-model-of-democracy.

Kakachia, Kornely. “Georgian Foreign Policy Strategy in Uncertain Times.” *Central Asia-Caucasus Analyst* Feature Article (September 5, 2022). https://www.cacianalyst.org/resources/pdf/220905_FT-Georgia.pdf.

Kakachia, Kornely, and Bidzina Lebanidze. “Georgia’s Slide to Authoritarianism.” *Carnegie Europe*, March 14, 2023. https://carnegieeurope.eu/strategiceurope/89260.

Kucera, Joshua. “Georgia’s Diplomatic Balancing Act Is Getting Harder To Pull Off.” RFE/RL, May 22, 2023. https://www.rferl.org/a/georgia-diplomatic-balancing-act-russia/32422820.html.

Lebanidze, Bidzina, and Kornely Kakachia. “Bandwagoning by Stealth? Explaining Georgia’s Appeasement Policy on Russia.” *European Security*, 2023, 1–20.

Open Society Georgia Foundation. “EU CANDIDACY CHECK 6.0 - How Is Georgia Progressing towards Fulfilling 12 Priorities Defined by the EU CANDIDACY CHECK – CSOs’ Final Assessments,” September 15, 2023. https://osgf.ge/en/eu-candidacy-check-6-0-how-is-georgia-progressing-towards-fulfilling-12-priorities-defined-by-the-eu-eu-candidacy-check-csos-final-assessments/.

ინტერვიუები

ინტერვიუ 1; 16 ოქტომბერი, 2023, საქართველოს პოლიტიკის ექსპერტი და ყოფილი დიპლომატი, თბილისი, საქართველო.

ინტერვიუ 2; 16 ოქტომბერი, 2023, საქართველოს პოლიტიკის ექსპერტი და ევროკავშირის ექსპერტი; თბილისი, საქართველო.

ინტერვიუ 3; 16 ოქტომბერი, 2023, საქართველოს პოლიტიკის ექსპერტი;თბილისი, საქართველო.

ინტერვიუ 4; 17 ოქტომბერი, 2023, , საქართველოს პოლიტიკის ექსპერტი;თბილისი, საქართველო.

ინტერვიუ 5; 17 ოქტომბერი, 2023, საქართველოს პოლიტიკის ექსპერტი და ევროკავშირის ექსპერტი; თბილისი, საქართველო.